## ჰადისებს ვსწავლობ

# ჩვენს ბრაზს ვამარცხებთ



ძლიერი ის კი არ არის, ვინც ჭიდაობაში მოწინააღმდეგეს დაამარცხებს, არამედ ის, ვინც გაბრაზებისას თავს მოთოკავს! (ჰადისი შერიფი)

muslim Georgia International charity foundation

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები



ᲕᲐᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑ

# ჩვენს ბრაზს ვამარცხებთ




ავტორი:
ნურ ქუთლუ
(მოზარდთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი





გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი

muslim GEORGIA international charity foundation

გამომცემლობა თიბაში ბავშვები





# ახლა ზეინეფისა და თარიქის გაცნობის დროა.

ახლა ზეინეფისა და თარიქის გაცნობის დროა. ზეინეფი ბაღში, თარიქი კი პირველ კლასშია. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ.

მათი მშობლები ქაღალდებზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ.

ჰადისები, ჩვენი შუამავლის ნაბრძანები ლამაზი და აღმზრდელობითი შინაარსის სიტყვებია.



ზეინეფი და თარიქი ყოველ კვირას თითო ჰადისს სწავლობენ. თავდაპირველად "სალლალლაჰუ ღალეიჰი ვესელლემ (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს ესალმებიან, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ. ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან და შემდეგ ცდილობენ ჰადისით მიღებული ცოდნის შესაბამისად მოიქცნენ. სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.







თარიქს ღილით ადრე გაეღვიძა. თვალებს ვერ უჯერებდა. მის თავთან ახლოს, კომოდზე საჩუქრის შეფუთვა იდო. სასწრაფოდ დაიწყო საჩუქრის გახსნა. შეფუთვაში ძალიან ლამაზი ვერტმფრენი იყო. ისეთი საჩუქარი იყო, როგორზეც ოცნებობდა. ღილაკზე დაჭერისას ვერტმფრენის ნათურა ინთებოდა და ქრებოდა. საჰაერო ხრახნი ბრუნავდა და ასეთ ხმას გამოსცემდა:



## "ფათ, ფათ, ფათ, ფათ!"

ნეტა ეს სიურპრიზი ვინ მომიმზადა? აინტერესებდა თარიქს.







ამ დროს თარიქმა შეამჩნია, რომ ზეინეფი თავის საწოლში არ იყო.
ამის გასარკვევად ოთახიდან გავიდა, ხმები შემოესმა.
ხმები მისაღები ოთახიდან მოდიოდა. მისაღებ ოთახს მიუახლოვდა,
მიუახლოვდა... და ვინც ლაპარაკობდა იმის ხმა ეცნო.

–რა კარგია, ჩემი ბიძა მოსულა! იყვირა.

გაიქცა და ბიძას მოეხვია.
დაინახა ზეინეფიც თავის ახალ თოჯინას ეთამაშებოდა. როგორც ჩანს
ბიძას მისთვის თოჯინა უჩუქებია.







თარიქი ბიძას გვერდით მიუჯდა და უთხრა:

**– კეთილი იყოს შენი მობრძანება ბიძია, საჩუქრისთვის დიდი მადლობა!**

ამის შემდეგ და-ძმა ბიძას ჰადისის ყუთზე ელაპარაკნენ. კვირის ჰადისი მას ამოაღებინეს. ბიძამ ჰადისი წაიკითხა:

**"ძლიერი ის კი არ არის, ვინც ჭიდაობაში მოწინააღმდეგეს დაამარცხებს, არამედ ის, ვინც გაბრაზებისას თავს მოთოკავს!".**



–ბიძია, ჭიდაობა რა არის? –ჰკითხა ზეინეფმა.
–სპორტის სახეობაა. ჭიდაობაში მოწინააღმდეგის, ანუ მის პირდაპირ მყოფის დამმარცხებელი ძალიან ძლიერ ადამიანად მიიჩნევა.





ერთი კითხვა თარიქმაც დასვა:

## – კარგი და ჩვენმა შუამავალმა რა ბრძანა, ნამდვილად ძლიერი ვინ არის?

– ვინმეზე გაბრაზებისას, ვინც ცუდად არ მოიქცევა და აპატიებს მას,
რადგან ასე მოქცევა ძალიან რთულია.
ბიბამ გააგრძელა:
– ბავშვებო,
ამისთვის გარჯა
მნიშვნელოვანია. არ
დაგავიწყდეთ,
ალლაჰს ტოლერანტი
და ლმობიერი
ადამიანები უყვარს.

"ძლიერი ის კი არ არის, ვინც ჭიდაობაში მოწინააღმდეგეს დაამარცხებს, არამედ ის, ვინც გაბრაზებისას თავს მოთოკავს!"
(ჰადისი შერიფი).

muslim georgia
muslim international charity



საუზმის შემდეგ
ზეინეფი ტანსაცმლის
გამოსაცვლელად ოთახში
გავიდა. შემდეგ ძმის
ვერტმფრენი აიღო და ეზოში
წავიდა სათამაშოდ. დაიწყო
თამაში, თითქოს ხელით
დააფრენდა,



"ფათ, ფათ, ფათ, ფათ!..."

ააა, ეს რა მოხდა?! ვერტმფრენი ძირს
დაეცა და გატყდა. შეწუხებული ზეინეფი
გატეხილ ვერტმფრენს უყურებდა,
სწორედ ამ დროს
ეზოში თარიქი
ჩამოვიდა.



ზეინეფმა არ იცოდა რა ექნა,

**–მხოლოდ ის მაინტერესებდა როგორ მუშაობდა, უცებ მოხდა, ბოდიშს გიხდი!**



თარიქი ძალიან გაბრაზდა, ბრაზით უყურებდა ზეინეფს. შემდეგ აიღო გატეხილი ვერტმფრენი და შევიდა სახლში. თარიქს ბრაზი არ გაუნელდა. "მე ჩემი სათამაშოთი ვეღარ ვითამაშებ, არც მან უნდა ითამაშოს!" თქვა და ზეინეფის თოჯინა დამალა.





ზეინეფი დამწუხრებული იყო. ფიქრობდა: "ნეტა ჩემს ძმას თოჯინას თამაში ჰყვარებოდა. მას ჩემს ახალ თოჯინას მივცემდი".



სახლში დაბრუნდა და ოთახისკენ გაიქცა. თოჯინა თავის ადგილზე არ დახვდა. ოთახში ყველგან მოძებნა, მაგრამ ვერ ნახა. ბოლოს დედას უამბო თოჯინის დაკარგვაზე. დედამ, ქალბატონმა მელექმა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

–არ იდარდო, თუ გინდა მერე ერთად მოვძებნით.

**თარიქი, თითქოს არაფერი იცოდა, წყნარად იჯდა.**




ნიმეთის
მაღაზია






ქალბატონ მელექს საუზმისთვის მზადება დამთავრებული ჰქონდა. იცოდა რომ პური არ ჰქონდათ საკმარისი.

თარიქს დაუძახა:

–შვილო, მაღაზიიდან პურს ამოიტან?

–რა თქმა უნდა დედა! –უპასუხა თარიქმა.

თარიქმა ფული აიღო და მაღაზიაში წავიდა.

თავისი რიგის ლოდინში ჩაფიქრდა.



**ზეინეფის მოწყენილობა თვალებიდან არ შორდებოდა.**





ცთარიქმა იყიდა პური და სახლისკენ წავიდა. ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა. უცებ ფეხი დაუცურდა:

## ჰოოპ!

თარიქს ხელიდან პური გაუვარდა. თარიქმა ტალახით მოსვრილი პური აიღო ხელში. "ვაიმე, ახლა დედას რას ვეტყვი! რომ გამიბრაზდეს..." –ფიქრობდა თავისთვის.





სახლში რომ მივიდა დედა მას სამზარეულოში ელოდებოდა. თარიქმა თავი დახარა და თქვა:



–პური ძირს დამივარდა. მოდიშს გიხდი დედა.

ქალბატონმა მელექმა თარიქს თავი გაუსწორა. თვალებში ჩახედა და უთხრა:

–არ იდარდო შვილო! პატარა უსიამოვნებები ყველას გვემართება. ეს პური შეგიძლია ბამბუა ალის ქათმებს წაუღო. დაბრუნებისას ახალ პურს იყიდი.



თარიქი გზაში იმაზე ფიქრობდა, რომ დედა საერთოდ არ გაბრაზებულა.
უცებ საკუთარი საქციელი გაახსენდა.

"ნეტა მეც არ გავბრაზებოდი ზეინეფს, ნეტა ბრაზი დამემარცხებინა, ნეტა დილით ნასწავლი ჰადისის შესაფერისად მოვქცეულიყავი."
–წაიჩურჩულა.



თარიქს ბაბუა ალი ეზოში დახვდა
–დედამ ქათმებისთვის გამომატანა – უთხრა და პური გაუწოდა.
ბაბუა ალის გაეცინა,
–ოოო! ჩვენი ქათმების დღევანდელი საჭმელი გამოჩნდა –თქვა და თარიქს ერთი კალათა კვერცხი მისცა.







თარიძი სახლში პურითა და კვერცხით დაბრუნდა.

შემდეგ დამალული ადგილიდან აიღო თოჯინა და ზეინეფს მიუტანა.

—ჩემი ვერტმფრენი რომ გატყდა ბრაზი მომერია და თოჯინა დაგიმალე. მერე მივხვდი ჩემს შეცდომას, ბოდიშს გიხდი. მაპატიე!

ზეინეფს თოჯინა ძალიან გაუხარდა.

—გაპატიე! —უთხრა. თავი დახარა და ჰკითხა:

—შენ მე მაპატიე?

—ვერტმფრენი შემთხვევით გატყდა. ყველას შეიძლება ასეთი უსიამოვნება მოგვივიდეს —უთხრა თარიძმა და ჩაეხუტა.





ამ დროს მათი ბიძა ოთახში



ისვენებდა, მისაღებ ოთახში რომ გავიდა, გატეხილი ვერტმფრენი დაინახა. ძმას, ბატონ მეჰმეთს, ხელსაწყოების მოტანა სთხოვა შესაკეთებლად.

ხელსაწყოები მოუტანეს, შეკეთებას შეუდგა.

და–ძმა ბიძასთან გაიქცა.



თარიქი ბიძას გაუჩერებლად ეკითხებოდა:

–ამ ხელსაწყოს რაში გამოიყენებ? ახლა რომელ ნაწილს დავამაგრებთ?









ბიძამ ვერცმფრენის შეკეთება დაასრულა. თარიქმა ვერცმფრენის ღილაკს დააჭირა და

## ...'ფათ ,ფათ, ფათ, ფათ!..'

ვერცმფრენი ამუშავდა. ზეინეფი და თარიქი სიხარულით ახცნენ. ბიძას ცაში დაუკრეს და მადლობა გადაუხადეს.
შემდეგ ახალი სათამაშოები აიღეს და ეზოში წავიდნენ.
ბავშვებმა თამაშით გული იჯერეს.





მეგობრებო პუფერი თუ იცით? ეს თევზია, რომელიც გაბრაზებისას ბუშტივით იბერება. უფრო მეტიც, ზოგჯერ ეკლებს, რომლებიც მას აქვს, ისვრის. მოდით მასთან ერთად ბრაზის გაკონტროლება ვისწავლოთ.

## რა დაგვჭირდება?

- ბუშტი
- მაკრატელი
- კბილის ჩხირები
- ფლომასტერი
- პიპეტი (პლასტმასის მილი)
- გამჭვირვალე სკოჩი
- პლასტელინი

პიპეტს 5 სანტიმეტრი ჩამოვაჭრათ. ეს ნაწილი ბუშტში მოვათავსოთ და სკოჩით მივაკრათ.





დავუბეროთ პიპეტში და ბუშტი გავბეროთ. იმისთვის, რომ არ დაიჩუტოს, პიპეტს სათამაშო ცომით თავი დავუცოთ.

ფლომასტერით პუფერს თვალები და პირი მივახატოთ.





ყოველ ჯერზე, როდესაც ჩვენს ბრაზს გავაკონტროლებთ, ბუშტს პლასტელინით კბილის ჩხირი მივაკრათ და პუფერს ეკლები გავუკეთოთ.